

არაბულენოვანი და არაბოგრაფიული ბეჭდური პროდუქცია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის დაღესტანში

დიანა მოსეშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail:diana.moseshvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.28>

დაღესტანში არაბულენოვან წიგნის კულტურას ათასწლოვანი ისტორია აქვს, რომელიც დაკავშირებულია აღმოსავლეთის ქვეყნებთან საუკუნოვან კულტურულ გაცვლასთან. ამ ხნის განმავლობაში აქ დიდი რაოდენობით დაგროვდა აღმოსავლური წარმომავლობის ან ადგილობრივად შექმნილი ორიგინალური არაბულენოვანი ლიტერატურის ხელნაწერი თუ ბეჭდური არაბული წიგნები კერძო და საჯარო კოლექციებში.

მეცნიერი კრაჩკოვსკი მიიჩნევდა, რომ „დაღესტანის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ „არაბული რეგიონის“ კულტურის შექმნა-გამდიდრებაში, მაგრამ დაღესტანის ე.წ. არაბული ლიტერატურა, რომელიც ასახავს ადგილობრივ ისტორიულ და სოციალურ-იდეოლოგიურ რეალობას, ეროვნულ საფუძველზე გაიზარდა და მთლიანად დაკავშირებულია დაღესტანის მხატვრული კულტურის ფენომენებთან და არაბული ენის საზღვრებში არსებობამ დაღესტანის ლიტერატურას ვერ წაართვა ეროვნული იდენტობა და დამოუკიდებლობა“ [Крачковский 1960: 614]. პროფესორ ა.რ. შიხსაიდოვის აზრითაც, X საუკუნიდან ჩვენ უკვე შეიძლება დავაკვირდეთ დაღესტანის არაბულენოვანი ლიტერატურული ტრადიციის ჩამოყალიბებას, რომელიც წარმოდგენილია მდიდარი და თემატურად მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობით [Шихсаидов 1991: 6]. პარალელურად არაბული დამწერლობის გამოყენებით ადგილობრივი დაღესტანური ენებისათვის ე.წ. „აჯამურ“ დამწერლობათა სისტემების შემუშავებისა და გადამუშავების შედეგად ორიგინალური ლიტერატურა იქმნებოდა დაღესტანის ადგილობრივ ენებზე, განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში.

როდესაც საუბარია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში დაღესტანური მუსლიმური საზოგადოების ცხოვრებაში არაბული ენის გავრცელების მასშტაბებსა და მის როლზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია არაბულენოვანი და არაბოგრაფიული ბეჭდური და ლიტოგრაფიული კულტურის განვითარება, რომელსაც, პირველ რიგში, დაღესტანში არაბულენოვან ხელნაწერ ძეგლთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ შეუწყო ხელი. ხელნაწერი წიგნის მთავარი დეკორაცია თავად კალიგრაფია იყო, რომლის ხარისხსაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღმოსავლური ხელნაწერების კოპირების პრიცესი საგანმანათლებლო ცენტრებში - მედრესეებსა და მექთებებში - მიმდინარეობდა სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ. ნაბეჭდი წიგნის კულტურა კი ვერ ჩამოყალიბდებოდა და ვერც შეიძენდა თავის იდენტობას ხელნაწერი წიგნების საუკუნოვანი ტრადიციის, მრავალი კალიგრაფიის ოსტატის დაუღალავი შრომის გარეშე, რომლებიც შემდგომში სტამბებთან თანამშრომლობდნენ.

XIX საუკუნის II ნახევრიდან დადესტანში ხელნაწერის გარდა ვრცელდება ნაბეჭდი წიგნებიც არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებზე. ამ წიგნების უმეტესობა აღმოსავლეთიდან შემოდიოდა - თურქეთიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, ვოლგის რეგიონიდან და ცენტრალური აზიიდან. დადესტანისა და თერგის რეგიონებში (თემირ-ხან-შურაში, პორტ-პეტროვსკსა და ხასავიურტში) XX ს-ის დასაწყისში გამოცემული 400-მდე დასახელების (დღემდე მიკვლეული და შესწავლილი) ნაბეჭდი წიგნიდან თითქმის ნახევარი თურქულენოვანია (ძირითადად, ყუმუხურ ენაზე), ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი - არაბულენოვანი, ხოლო დანარჩენი იბეჭდებოდა ყუმუხურ, დარგულ, ავარიულ, ლაკურ, ყაზარდოულ, ყარაჩაი-ბალყანურ, ჩეჩნურ და სხვა ენებზე. ნაბეჭდი პროდუქცია ისეთივე მრავალფეროვანი იყო ჟანრულ-თემატური თვალსაზრისით, როგორც ხელნაწერები, მაგრამ ბეჭდური პროდუქციის 50 % რელიგიური შინაარსისა იყო, სასწავლო სახელმძღვანელოები წარმოადგენდა მხოლოდ 6%-ს [Орзаев 2009: 1-3].

დადესტანის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში ინახება პორტ-პეტროვსკის ტიპოგრაფიაში არაბულ ენაზე გამოცემული სამი არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო 11 ეგზემპლარი: შეიხზადეს „ქაშიფ ალ-კინა‘ ‘ალა კავა‘იდ ალ-‘ირაბ“ (გამოცემულია 1910 წელს), ‘აბდარაჰმან ჯამის „შარჰ მულა ჯამი“ (გამოცემულია 1905 წელს), ალ-არდაბილის „შარჰ ალ-ინმიზაჯ“ (გამოცემულია 1905 წელს), ასევე 2 ლოგიკის სახელმძღვანელო (სულ 5 ეგზემპლარი), ერთი სახელმძღვანელო სუფიზმში და ერთი ფიქსისა. როგორც ჩანს, ადგილობრივ სტამბებში არაბულენოვან წიგნებს შორის საკმაო რაოდენობით იბეჭდებოდა არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები, მასზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა XV-XX სს-ის განმავლობაში გრამატიკის ხელნაწერი სახელმძღვანელოების გადაწერის სიხშირე და რაოდენობაც.

სტამბის გაჩენა დადესტანის მოსახლეობის მზარდი სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერებისა და კულტურული დონის შედეგი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ამან ხელი შეუწყო მხატვრული თუ სამეცნიერო ნაწარმოებების ფარ-თოდ გავრცელებას, რისი მითხოვნილებაც არსებობდა იმდროინდელ საზოგადო-ებაში. დადესტანში პირველი ნაბეჭდი იმპორტირებული წიგნების გამოჩენა დაკავშირებულია მუჰამედ ჰუსეინ ასადოვის სახელთან, წარმოშობით ირანელთან, რომელსაც კავშირები ჰქონდა მუსლიმურ სამყაროსთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ასადოვს თემირ-ხან-შურაში (ბუინაკსკი) წიგნის მაღაზია ჰქონდა, სახელწოდებით „ითთიჰადი“ („კავშირი“), რომელიც 1907 წელს გაიხსნა. მისი საქმიანობის მასშტაბს მოწმობს მის მაღაზიაში არსებული წიგნების კატალოგი, რომელსაც „ი‘ლანი“ ჰქვია („რეკლამა“). მომხმარებელს მაღაზიაში არსებული წიგნების შეძენა ფოსტით შეეძლო მოთხოვნის გაგზავნიდან ორი თვის განმავლობაში. გარდა ამისა, ასადოვი საბროკერო მომსახურებას სთავაზობდა „შემცირებულ ფასებში“ მათ, ვისაც სურდა წიგნის („ი‘ლანში“ ჩამოთვლილი წიგნებიდან) საკუთარი ხარჯებით დაბეჭდვა ეგვიპტურ სტამბებში. ასადოვის მიერ გასაყიდად შემოთავაზებული წიგნების საერთო რაოდენობა 469 ერთეულია და, ნათელია, რომ განათლებული მკითხველისთვისაა განკუთვნილი [Османова 2006: 50-52].

ასადოვის „ითთიჰადის“ გარდა, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში დადესტანში სხვა წიგნის სავაჭრო დაწესებულებებიც გაჩნდა. მაღაზიები განლაგებული იყო ყველა რეგიონის სამი ქალაქი: თემირ-ხან-შურა, პორტ-პეტროვსკი და დერბენტი. 1903 წელს დადესტანში ასეთი 5 მაღაზია იყო, 1905 წელს – 7, 1907 წელს – 7. შემდგომ წლებში წიგნის მაღაზიების ქსელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. სოფლად ასეთი მაღაზიები აღარ არსებობდა [Османова 2006: 71].

სტამბის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, წიგნზე არსებული მოთხოვნის, ხელნაწერ ძეგლთა დიდი რაოდენობისა და იმპორტირებული ბეჭდური პროდუქციის გარდა, ბუნებრივია, რუსეთისა და აზიის კულტურულ ცენტრებში საგამომცემლო საქმიანობის აღორძინებამაც შეუწყო ხელი. დადესტანში დღემდე მიკვლეული და

რევოლუციის წლებს გადარჩენილი ნაბეჭდი წიგნების კოლექცი-ებში დაცულია დალესტნის სტამბებში გამოცემული წიგნები, რომლებიც ადგილობ-რივი გამომცემლობების საქმიანობის შედეგია. თუმცა, დალესტნის გარეთ გამოცემული წიგნების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივად დაბეჭდილი წიგნების რაოდენობას, რაც მოწმობს დალესტანში გამომცემლობის შედარებით სუსტ განვითარებას XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისისათვის.

პირველმა სტამბამ დალესტანში, რომელიც ვინმე მირზოევს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ 1850-იან წლებში დაიწყო ფუნქციონირება თემირ-ხან-შურაში. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ადრეული დაბეჭდილი წიგნები (კერძოდ, მ.პ. ვაგიფის და XVII-XIX საუკუნეების სხვა აზერბაიჯანელი პოეტების ლექსების კრებული, რომელიც შეადგინა მირზა იუსუფ ნერესოვმა და გამოქვეყნდა 1276 წელს/1856 წელს ამ სტამბაში). დალესტნის სტამბის კიდევ ერთი ადრეული გამოცემაა ბროშურა „კავაიდი“ (عاشقانه – „დებულებები დალესტნის მოსახლეობისთვის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“) იყო რუსულიდან არაბულ ენაზე თარგმანი და გამოცა ლითოგრაფიული მეთოდით დალესტნის რეგიონის შტაბ-ბინის სტამბაში, ქალაქ თემირ-ხან-შურაში, 1868 წელს [Османова 2006: 76-77].

1876 წლის ბოლოს კოლეგიის მდივანმა ა.მ. მიხაილოვმა დალესტნის ოლქის უფროსის თანაშემწის, ე.ფ. ბერკმანის, ნებართვით პორტ-პეტროვსკში (მაჰაჩყალა) სტამბა დააარსა. 1879 წელს იმავე მიხაილოვმა, ჯარების მეთაურისა და დალესტნის ოლქის უფროსის, მელიკოვას ნებართვით თემირ-ხან-შურაში მეორე სტამბაც დააარსა [Османова 2006: 78]. 1901 წლისათვის დალესტანში 10 სტამბა მოქმედებდა. ისინი მცირე და ნახევრად ხელოსნური იყო. აქ არსებული სტამბებიდან ყველაზე დიდი იყო მიხაილოვის 1876 წელს დაარსებული, ორთქლზე მომუშავე სტამბა და ლითოგრაფიული სახელოსნო პორტ-პეტროვსკში, რომელიც თავდაპირველად ადგილობრივ დაწესებულებებსა და ფიზიკურ პირებს ემსახურებოდა, მაგრამ თანდათანობით მომხმარებელთა წრე გაფართოვდა, მას შემდეგ, რაც ვიატკას ქალაქის ქარხნიდან წარმომადგენლობითი ოფისის შექმნით სტამბამ შეძლო შეკვეთების ღირებულების შემცირება, რამაც მომხმარებლები მიიზიდა კასპისპირეთიდან, ვლადიკავკაზიდან, პიატიგორსკიდან და სხვ. შეკვეთების ზრდასთან ერთად, აღჭურვილობაც გაუმჯობესდა.

მართალია, დალესტნის ტერიტორიაზე არსებულმა პირველმა ტიპოგრაფიულმა და ლითოგრაფიულმა სახლებმა უფრო დიდი როლი ითამაშეს დალესტანში რუსული კულტურის გავრცელების საქმეში, რამდენადაც ეს სტამბები ლიტერატურას, ძირითადად, რუსულ ენაზე აქვეყნებდნენ, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურა მხოლოდ ხელნაწერებში ვრცელდებოდა და დასაწყისი-სთვის არაბულ ენაზე დაბეჭდილი მასალები პრაქტიკულად არ არსებობდა, თუმცა მათ დალესტნელებს ბეჭდვისა და გაზეთების გამოცემის ხელოვნება გააცნეს. ამ სტამბებში, ძირითადად, სხვადასხვა განცხადება, ადგილობრივი ადმინისტრაციის ანგარიშები, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები იბეჭდებოდა. ადგილობრივი ლითოგრაფიების ცუდი ტექნიკური აღჭურვის გამო დალესტნის რეგიონული ადმინისტრაცია სერიოზული მასალების ბეჭდვას ტფილისში ამჯობინებდა [Османова 2013: 998].

XX საუკუნის დასაწყისიდან დალესტანში ნელ-ნელა დაიწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ და დალესტნის ხალხების ენებზე. კერძოდ, მიხაილოვის სტამბაში, ლითოგრაფიის განყოფილებაში, რუსულ ენაზე სხვადასხვა გამოცემასთან ერთად 1904 წლიდან იბეჭდებოდა წიგნები არაბულ ენაზე. ასევე მუჰამედმირზა მავრაევმა 1907-1908 წლებში გახსნა ორთქლის სტამბა და ლითოგრაფიის ქარხანა ქალაქ თემირ-ხან-შურაში და დაიწყო წიგნების გამოცემა არაბულ, რუსულ, ასევე დალესტ-ნისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ენებზე. სავარაუდოდ, 1910 წელს იბნუ ხაჯარ ნახიბაშევმა ხასავიურტში გახსნა მცირე სტამბა და ლითოგრაფიული სახელოსნო და დაიწყო წიგნების გამოცემა არაბულ და ადგილობრივ ენებზე [Исаев 1989: 11].

ასადოვის ზემოთხსენებულ „ილანის“ კატალოგში დადესტნის ხალხების ენებზე გამოცემული არც ერთი წიგნი არ არის მითითებული. საინტერესოა, რომ კატალოგში „გამოცემის ადგილის“ ქვეშ არასდროს არის ნახსენები თემირ-ხან-შურა ან პეტროვსკი – შესაბამისად, მასში მხოლოდ აღმოსავლური გამოცემის წიგნებია მოხსენიებული. თუმცა, ამ კატალოგის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ითთიჰადის“ წიგნის მაღაზიაში ინახება მ.მ. მავრაევის სტამბის მიერ გამოცემული ყველა წიგნი. სავარაუდოა, რომ კატალოგში არსებობდა კიდევ ერთი განყოფილება, რომელიც შეიცავდა ასეთი წიგნების სათაურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის არ შემორჩენილა (კატალოგი მთავრდება 39-ე გვერდზე). თუმცა, ცნობილია, რომ ასადოვი გამომცემლად მუშაობდა და მისი მრავალი წიგნი გამოსცეს დადესტნის სტამბებმა. დადესტანსა და საზღვარგარეთ არაბულ ენაზე გამოცემული არაერთი წიგნის სატიტულო გვერდებზე ეწერა: „გამომცემელი – მუჰამედ ჰუსეინ ასადოვი თემირ-ხან-შურადან“. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია ისიც, რომ „ილანის“ რეკლამაში ასადოვმა ჩამოთვალა არა მხოლოდ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი წიგნები, არამედ თავად დადესტნის სტამბებში, ასევე რუსეთის იმპერიის რამდენიმე ქალაქში (ყაზანი, სიმფეროპოლი) გამოცემული წიგნები [Османова 2006: 66-69].

პატარა წიგნის მაღაზია ჰქონდა მაგომედ-მირზა მავრაევს, XX ს-ის დასაწყისში დადესტანში არაბულენოვანი წიგნის გამოცემის ინდუსტრიის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და ლიდერს, რომელსაც 1907 წელს დადესტნის რეგიონის სამხედრო გუბერნატორმა ნება დართო, თემირ-ხან-შურაში გაეხსნა მაღაზია პირადი პასუხისმგებლობითა და ცენზურის მიერ დაშვებული წიგნების გაყიდვით არაბულ, თათრულსა (ანუ დადესტნის ენებსა) და რუსულ ენებზე. იქამდე მაგომედ-მირზა მთელ დადესტანში ცნობილ სწავლულსა და საზოგადო მოღვაწესთან, აბუსუფიან აკაევსა და ისმაილ აბაკაროვთან ერთად 1902 წელს ქალაქ ბახჩისარაიში გასპრინსკის სტამბაში მუშაობდა, სადაც გაზეთი „თარჯუმანი“ („მთარგმნელი“) გამოიცემოდა. ახალგაზრდებმა ათვისეს წიგნების გამოცემის ტექნოლოგია. 1902-1904 წლებში ბახჩისარაიში და სიმფეროპოლში მათ გამოსცეს დაახლოებით 20 წიგნი არაბულ და კუმუკურ ენებზე. მავრაევის ტიპო-ლითოგრაფიაზე თემირ-ხან-შურაში საუკეთესო დადესტნელი კალიგრაფები მუშაობდნენ.

წიგნების გარდა მავრაევის სტამბა ბეჭდავდა გაზეთებსაც, როგორც არაბულ, ასევე ადგილობრივ ენებზე. მათ შორის: არაბულად „ჯარიდატ დადესტანი“. ეს გაზეთი გამოდიოდა 1913-1918 წლებში, დადესტნისა და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონისათვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, როცა ბოხოქრობდა ცენზურა და იკრძალებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზრი. მან დიდი როლი ითამაშა დადესტნის საზოგადოებების ცხოვრებაში და ცენზურის პირობებში საკმაოდ დიდხანსაც იარსება. იწერებოდა არაბულ სალიტერატურო ენაზე, რის გამოც იმ პერიოდის ცენზურისათვის მიუწვდომელი რჩებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკითხველთა მხოლოდ ნაწილისათვის აღმოჩნდა ხელმისაწვდომი [Орзаев 2009:18]. თემატური თვალსაზრისით სტატიები, რომლებიც გაზეთის ფურცლებზე არაბულ ენაზე იბეჭდებოდა მეტად მრავალფეროვანი იყო: განათლება და რელიგია; რეგიონის სულიერი განვითარების დონე, ამ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; მეცნიერებისა და სწავლულ-მეცნიერთა მდგომარეობა დადესტანში, მათი ფუნქცია და დანიშნულება; სასწავლო მეთოდების კრიტიკა და მათი რეფორმირების აუცილებლობა; ქალთა საკითხი; ადათები; ასტრონომია, გეოგრაფია, მედიცინა და ჯანდაცვა; კლიმატი და რეგიონის მეურნეობა, ისტორია და ისლამის ისტორია და სხვა. სპეციალური გვერდები ეთმობოდა: მხატვრულ ლიტერატურას, ლიტერატურულ წერილებსა და განცხადებებს.

მავრაევის სტამბაში ასევე გამოიცემოდა გაზეთები: ავარულად „ავარისტანი“, ყუმუხურად „მუსავატი“ და ლაკურად „ჩანა ციუკიუ“, ყუმუხურად ჟურნალი „ტანგ ჩოლპანი“ და არაბულად „ალქისტასი“ [Османова 2006: 92].

XX საუკუნის დასაწყისში საკუთრივ დადესტნის სტამბებში არაბულ დამწერლობაზე („აჯამზე“) 1903-1917 წლებში გამოცემული 366 წიგნია მიკვლეული, მათ

შორის 88 წიგნი ავარული ენაზე, 36 დარგოულზე, 154 ყუმუხურზე, 34 ლაკურზე, 28 დაღესტნის ხალხების ორ ან მეტ ენაზე, თითო წიგნი ადიღურ, ბალყარულ, ყარაჩაულ, ოსურ, 2 წიგნი აზერბაიჯანულ, 6 ყაბარდოულ და 14 ჩეჩნურ ენებზე. გარდა ამისა, დაღესტნის ენებზე დაახლოებით 100 წიგნი და ტექსტი გამოიცა კირილიცასა და ლათინურ ენაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაღესტნის ენებზე 1917 წლამდე გამოცემული ყველა წიგნი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

1917 წლამდე ყუმუხურ და დაღესტნის ხალხების სხვა ენებზე გამოცემულ წიგნებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სახელმძღვანელოები და სასწავლო საშუალებები მათემატიკაში, გრამატიკაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, ეთიკაში, საწყის წიგნებში, ორენოვან და მრავალენოვან ლექსიკონებში, სხვადასხვა კალენდარში, სამედიცინო ცნობარებში, მხატვრულ ლიტერატურაში (პროზა და პოეზია) და დაღესტნის ფოლკლორში, ისტორიული პირების შესახებ მოთხრობებში, დაღესტნელი მეცნიერების ნაშრომებში დაღესტნის ისტორიაზე, ასტრონომიაში, ფილოლოგიაზე და ა.შ. გარდა ამისა, დაღესტნის სტამბებში გამოიცა გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები და პროკლამაციები. დაღესტნის ხალხების ენებზე გამოცემულ წიგნებს შორის ბევრია არაბული, თათრული, აზერბაიჯანული და სხვა ენებიდან თარგმნილი ნაწარმოები. ამგვარად, ყუმუხურ ენაზე არაბული დამწერლობით გამოცემული 154 წიგნიდან 53 წარმოადგენს არაბული, თათრული, აზერბაიჯანული და სხვა ენებიდან კუმუკურ ენაზე თარგმანს ან ტრანსკრიფციას. ასევე საინტერესოა, რომ ამა თუ იმ დაღესტნურ ენაზე შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებების ან დაღესტნურ ენაზე არადაღესტნელ ავტორთა ნაწარმოებები თარგმნილია სხვა დაღესტნურ ენებზე [Исаев 1991: 87-104].

1910 წლის შემდეგ, არაბულენოვანი წიგნების ბეჭდვა, სავარაუდოდ, შეჩერდა. კასპიის სტამბაში არაბულენოვანი ლიტოგრაფიის გამოცემის ბოლო თარიღად ამჟამად 1910 წელი მიიჩნევა. 1918 წლის აპრილში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მიხაილოვის სტამბა ნაციონალიზებულ იქნა (მ. მავრაევისა და სხვა სტამბებთან ერთად) და სამხედრო რევოლუციური კომიტეტის კონტროლს გადაეცა გაზეთ „დაღესტანსკი ტრუჟენიკის“ (დაღესტნელი მუშა) გამოსაცემად, რომელიც საერთაშორისო სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ორგანო იყო [Османова 2013:1002]. იმ დროს განათლების სახალხო კომისარმა გადაწყვიტა მავრაევის ჩართვა ახალი სტამბის მშენებლობასა და გაშვებაში. მავრაევი დაინიშნა „დაგგოსიზდატის“ წარმოების განყოფილების უფროსად. მას დაევალა სტამბის აღჭურვილობის მოვლა და სტამბის გაშვებასთან დაკავშირებული საკითხები [Османова 2006: 248].

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ადგილობრივ სტამბებში არაბულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების დიდი რაოდენობა ბარბაროსულად განადგურდა, რადგან ყველაფერი, რელიგიასა და არაბულ ენასთან დაკავშირებული, ნეგატიურად იქნა აღქმული. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, 1920-იან და 1930-იან წლებში „ობსკურანტიზმთან“ ბრძოლის ლოზუნგით დაღესტანმა ასობით ათასი უნიკალური წიგნი დაკარგა. ბევრი დაღესტნელი მეცნიერი, რომლებიც დიდძალ არაბულენოვან ლიტერატურას ფლობდნენ და ამასთან არაბულ ენაზე თავისუფლად მეტყველებდნენ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რეპრესირებულნი იქნენ [Курбанова 2002: 72]. სავარაუდოდ, 1930-იან წლებში განადგურდა რელიგიური წიგნების უმეტესობა, რამდენადაც რელიგია „ხალხის ოპიუმად“ მიიჩნეოდა.

XX ს-ის დასაწყისისათვის რევოლუციამდელ დაღესტანში მოქმედი არბულ-მუსლიმური საზოგადოებრივი განათლების ტრადიციული სისტემა ახალ, კაპიტალისტური ურთიერთობების ეპოქაში, მთიელთა მოთხოვნილებებს ჩამორჩებოდა, როგორც საგნების შინაარსით, ასევე სწავლების მეთოდებით. დაღესტნის პროგრესული მოღვაწეები, მთიელებს შორის საზოგადოებრივი განათლების დამცველები, მათ შორის ალი კაიაევი, დაღესტნის სტამბებში გამოცემულ წიგნებსა და გაზეთის ფურცლებზე მოუწოდებდნენ თანამემამულეებს, მიეღოთ რუსი და სხვა ხალხების მეცნიერების,

ტექნოლოგიისა და კულტურის მიღწევები. მათ ხელი შეუწყვეს ზოგადი განათლების საგნების დანერგვას რელიგიურ სკოლებში, გახსნეს ე.წ. „ახალი მეთოდის სკოლები“ ადგილობრივ ენებზე სწავლებით, შექმნეს სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები ადგილობრივ ენებზე. ასევე, რეფორმა ჩაატარეს „აჯამის“ დამწერლობის სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ არაბულის ფლობის დონე დადესტნის იმ მოსახლეობაში, რომლებიც განათლებას იღებდნენ ტრადიციულ სკოლებში, ძალიან მაღალი იყო, ისინი მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ და შესაბამისად არაბულენოვანი წიგნი – ხელნაწერი თუ ბეჭდური – ხელმისაწვდომი იყო სწორედ მოსახლეობის ამ მცირე განათლებული ნაწილისათვის. ამიტომაც თვლიდნენ ადგილობრივი მოაზროვნეები, რომ მშობლიურ ენებზე განათლების მიღება და საკუთრივ არაბული ენის შესწავლა, გააუმჯობესებდა შედეგებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დადესტნურ ენებზე სახელმძღვანელოების გაჩენა ორთოდოქს მუსლიმ სასულიერო პირებსა და სახალხო განათლებისა და ეროვნული კულტურის განვითარების დამცველებს შორის სასტიკი ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. სასულიერო პირები სასწავლო სახელმძღვანელოების, პოეზიისა და სხვა ნაწარმოებების ეროვნულ ენებზე წერასა და გამოცემას მძიმე ცოდვად მიიჩნევდნენ.

1930-იანი წლების ბოლოსთვის ყველა მედრესე დაიხურა. ამან გამოიწვია რელიგიური განათლების სისტემის განადგურება, ეროვნული გაზეთები მასობრივად დაიხურა, ხოლო დაწყებითი განათლება რუსიფიცირებული გახდა [Исаева 2011: 186].

სსრკ-ში არსებული ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის პირველ ათწლეულებში განსაკუთრებულ მრავალფეროვნებასა და მოზაიკურ ბუნებას ავლენდა. პროგრესი, მოითხოვდა განვითარების საერთო დონის მიღწევას. ამ პირობებში აუცილებელი იყო განვითარების საერთო ფორმულების პოვნა და ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მოდელების აგება. დამწერლობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური აღმოჩნდა, რამდენადაც ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც ჰქონდათ დამწერლობის სისტემები, ასევე გამოირჩეოდნენ თავიანთი მრავალფეროვნებით, რაც გაპირობებული იყო მათი ისტორიული განვითარების უნიკალურობით – იმ დროს კავკასიის ყველა ხალხს ჰქონდა არაბულ ანბანზე დაფუძნებული დამწერლობა. ახალი ხელისუფლების წინაშე იდგა ამ ხალხების იზოლირების პრობლემა დანარჩენი ისლამური სამყაროსაგან და მათი მოწყვეტა ისლამის რელიგიისაგან. არაბული დამწერლობის მიერ შენახული კულტურული უწყვეტობისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაკარგვა რევოლუციონერ ლიდერებს ყველაზე ნაკლებად აწუხებდათ.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში იქმნებოდა ახალი პოლიტიკური სისტემა, რომელიც აცხადებდა ეროვნულ და სახელმწიფოებრივ რეორგანიზაციას ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, საჭირო იყო დამწერლობის გაერთიანება, როგორც გრაფიკული სიმბოლოების სისტემა. ადრე განხილულ მრავალ ვარიანტს შორის უპირატესობა მიენიჭა დამწერლობის ლათინიზაციას, რომელიც 1920-იან და 1930-იან წლებში დაეხმარა საბჭოთა კავშირს ექსპერიმენტულად დაემუშავებინა საზოგადოების ერთიან კირილიცაზე გადასვლის პროცესი და ეპოვა ერთიანობის საფუძველი სსრკ-ის ენობრივი ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობისთვის. ეს პროცესი 1939 წელს დასრულდა, როდესაც კირილიცა, ანუ რუსული ანბანი, სავალდებულო გახდა სსრკ-ის თითქმის ყველა ხალხისთვის (Исаева 2011: 153-154).

ამგვარად, რუსული მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით 1930-იანი წლებიდან მოყოლებული დადესტანი სულ უფრო აქტიურად შედიოდა რუსულენოვან კულტურულ სივრცეში. რუსულ კულტურასთან დაახლოების კვალდაკვალ დაიწყო კულტურული ორიენტაციის აღმოსავლეთიდან რუსეთის მიმართულებით გადამისამართებაც.

ლიტერატურა:

1. Ахмадуллин М. Л. (2011): ДИЗАЙН АРАБОАЛФАВИТНОЙ ПЕЧАТНОЙ ПРОДУКЦИИ ПОВОЛЖЬЯ И УРАЛА (конец XIX — начало XX в.) Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения
2. Исаев А.А. (1989): Каталог печатных книг и публикаций на языках народов Дагестана (дореволюционный период). // Махачкала, 1989.
3. Исаев А. А. (1991) СТАРОПЕЧАТНАЯ КНИГА НА КУМЫКСКОМ ЯЗЫКЕ С борник статей РУКОПИСНАЯ И ПЕЧАТНАЯ КНИГА В ДАГЕСТАНЕ. ИНСТИТУТ ИСТОРИИ, ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ им, Г. ЦАДАСЫ . Махачкала 1991// с. 87-104
4. Исаева Л. М. (2011): Из истории письменности на Кавказе: языковая политика СССР 1920-30 гг. // აზიის XXIII. 2011 // გვ. 147-185
5. Крачковский Н. И. (1960). Арабская литература на Северном Кавказе. // Москва Собр. Соч. т.V.
6. Курбанова, М. Н. (2002): Арабская печатная книга в Дагестане в конце XIX - начале XX века: Историко-культурный аспект. Диссертация
7. Курмансеитова А. Х. (2012): Первые печатные издания на языках народов Карачаево-Черкесии (I). // Кавказские научные записки – 2011. // № 2(7). – с. 172-182 kavkazoved.info/news/2012/11/28/pervye-pechatnye-izdaniya-na-jazykah-narodov-karachaevo-cherkesii-i.html
8. Оразаев Г. (2009). Тюркоязычная традиция в рукописной культуре Дагестана: XVI - нач. XX вв. // Журнал "Orientalia. Списание за Изтока" (Болгария) // №2, 2009.
9. Оразаев Г. М. (2015): Арабографические книги дагестанских авторов, изданные на турецком языке на территории Дагестана – в России и через Рубежом (XIX – начало XX века до н.э.). Институт истории, археологии и этнографии. Дагестанского научного центра РАН, Махачкала
10. Османова М.Н. (2013): АРАБОЯЗЫЧНОЕ КНИГОПЕЧАТАНИЕ В ТИПОГРАФИИ А.М. МИХАЙЛОВА «КАСПИЙ» (Г. ПОРТ-ПЕТРОВСК) ИСТОРИЧЕСКИЕ НАУКИ №8, 2013 с.998-1002
11. Османова М.Н. (2006): Арабская печатная книга в Дагестане в конце XIX – начале XX века: Монография. – Махачкала: Издательский дом «Наука плюс», 2006. – 230 с. – (РАН. ДНЦ. Институт истории, археологии и этнографии).
12. Шихсаидов А.Р. (1991): Книжные коллекции Дагестана (К вопросу о формировании и изучении) // Рукописная и печатная книга в Дагестане. Махачкала, 1991
13. Каталог арабских рукописей (2005): Автор: Шихсаидов А.Р., Омаров Х.А. ; Год издания: 2005

საკვანძო სიტყვები: არაბულენოვანი ბეჭდური პროდუქცია , არაბოგრაფიული ბეჭდური პროდუქცია, დაღესტანი

Diana Moseshvili

Akaki Tsereteli State Univesity

Kutaisi, Georgia

e-mail:diana.moseshvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.28>

Arabic-language and Arabographic printed production in Dagestan at the end of the XIX and beginning of the XX centuries

Abstract

When talking about the scale of the spread of the Arabic language and its role in the life of the Dagestan Muslim community at the end of the 19-th and beginning of the 20-th centuries, one of the important arguments is the development of Arabographic printing and lithographic culture, which was

given impetus by the significant number of manuscript monuments in Dagestan, as well as the establishment of periodicals. At that time, Dagestan was equally strongly influenced by two cultures: the Arab-Muslim one, which was associated with local ideological traditions, and the Russian one, which had an increasingly strong influence on the ideological political and cultural life of Dagestan.

Initially, printing houses contributed to the spread of Russian culture in Dagestan, and books were printed mainly in Russian, while Arabic-language literature, which spread from the East, continued to be distributed mainly in manuscript form. We practically do not have Arabic-language printed products until the beginning of the 20th century. Only by the beginning of the 20th century did the work of printing books in Arabic begin in Dagestan. In the Port-Petrovsky printing house (which existed since 1876), books in Arabic were already being published in 1904. In 1907-1908, Arabic book printing was carried out by Temir-Khan-Shuras M. It also began in the "Islamic Typography" founded by Mavraev, which published a significant number of books on various topics (grammar, literature, poetry, linguistics, fiqh, Sufism, theology, dogmatics, logic, rhetoric, practical astronomy, and others) in Arabic.

Of the approximately 400 printed books (traceable and studied to this day) published in the Dagestan and Tergi regions (in Temirkhanshura, Port-Petrovsk, and Khasavyurt) at the beginning of the 20th century, almost half are in Turkic (mainly in the Kumyk language), a significant part is also in Arabic, and the rest were printed in Dargush, Avar, Lak, Kabardian, Karachay-Balkan, Chechen, and other languages. Printed products It was as diverse in genre and subject matter as the manuscripts. 50% of printed matter was religious, while textbooks accounted for only 6%.

Apparently, among the Arabic-language books, local printing houses printed a considerable number of Arabic grammar textbooks, due to the demand for them. The frequency and number of reprints of handwritten grammar textbooks during the 15th-20th centuries also allow us to make such an assumption.

The end of the XIX and the beginning of the XX centuries are marked with the development of Arabographic manuscripts and lithographic culture. The development was stimulated by the establishment of periodical journals. During the First World War in the administrative center of Dagestan Temir-Khan-Shura (modern Buinask) appeared Arabic-language periodicals, a newspaper "Dagestan", which used to come out in Turkish as well before the revolution. In 1913-1918 under the severe censorship, when every free thought was banned at the same printing house came out a newspaper "ğarīda dāğistān". The newspaper played an important role in the social life of Dagestan for quite a long time. It was written in literary Arabic to avoid the censorship, however for the same reason, it stayed not available for the wider mass of readers.

It is true that at the beginning of the 19th century, not a small part of the Dagestan region received education in Arabic in Muslim schools, but the level of development of Arab-Muslim science significantly lagged behind European and Russian ones. For this purpose, by the 1930s of the 19th century, Russian scholars began to establish Russian-type schools in Dagestan, which offered Dagestanis higher standards of education. In the wake of rapprochement with Russian culture, cultural orientation began to shift from the East to Russia.

Keywords: Arabic-language printed production, Arabographic printed production, Dagestan